

სს ოქსინო

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები.....	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	12
5. წინა პერიოდების შეცდომები და რეკლასიფიკაციები	14
6. ძირითადი საშუალებები	14
7. საინვესტიციო ქონება.....	15
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	15
10. ამონაგები.....	15
11. სხვა ხარჯები.....	16
12. პირობითი ვალდებულებები	16
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17
15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	17

მმართველობის ანგარიშგება.....	24
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ოქსინოს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „ოქსინოს“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების ფინანსური ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ძირითადი საშუალებების, გარდა მიწისა, ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო მტკიცებულებები ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების გადაფასებულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად შეადგენს 261,472 და 243,442 ლარს. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღნიშნულ აქტივებთან მიმართებაში, ასევე, ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით 31.12.2018 და 31.12.2017 თარიღებში დასრულებული წლებისთვის.

კომპანიამ ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება საინვესტიციო ქონებად აღიარებული შენობის ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო მტკიცებულებები ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ საინვესტიციო ქონების გადაფასებულ ღირებულებაზე, რომლის საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 2,977,953 ლარს. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღნიშნულ აქტივებთან მიმართებაში, ასევე, ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით 31.12.2018 და 31.12.2017 თარიღებში დასრულებული წლებისთვის.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

სს ოქსინოს 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულ იქნა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 25 სექტემბერს გასცა მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენ, 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-5 განმარტებით შენიშვნაში აღწერილი ცვლილებების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი ცვლილებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნევართ ჯგუფს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული ცვლილებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე გადასინჯულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას, გარდა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების დეტალური ანალიზისა, როგორც ეს კანონით არის მოთხოვნილი

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 დეკემბერი 2019

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

სს ოქსინოს 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულ იქნა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 25 სექტემბრის გასცა მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენ, 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-5 განმარტებით შენიშვნაში აღწერილი ცვლილებების აუდიტი, რომელიც განხორციელდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი ცვლილებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული ცვლილებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე გადასინჯულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას, გარდა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების დეტალური ანალიზისა, როგორც ეს კანონით არის მოთხოვნილი

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)



შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 დეკემბერი 2019

სს ოქსინო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	511,472	243,442
არამატერიალური აქტივები		30,903	964
საინვესტიციო ქონება	7	10,894,953	10,645,953
		11,437,328	10,890,359
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		14,591	15,665
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	83,919	83,278
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	12,631	177,932
		111,141	276,875
სულ აქტივები		11,548,469	11,167,234
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		20,800	20,800
გაუნაწილებელი მოგება		4,882,778	4,502,167
გადაფასების ნამეტი		6,633,787	6,633,787
		11,537,365	11,156,754
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		11,104	10,480
		11,104	10,480
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11,548,469	11,167,234

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე _____ ნინო ცინცაძე

დირექტორი _____ ლაშა სულაძე

სს ოქსინო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	511,472	243,442
არამატერიალური აქტივები		30,903	964
საინვესტიციო ქონება	7	10,894,953	10,645,953
		11,437,328	10,890,359
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		14,591	15,665
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	83,919	83,278
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	12,631	177,932
		111,141	276,875
სულ აქტივები		11,548,469	11,167,234
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		20,800	20,800
გაუნაწილებელი მოგება		4,882,778	4,502,167
გადაფასების ნამეტი		6,633,787	6,633,787
		11,537,365	11,156,754
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		11,104	10,480
		11,104	10,480
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11,548,469	11,167,234


2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 დეკემბრის შემდეგი პირების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



ნინო ცინცაძე

დირექტორი

 ლაშა სულაძე

სს ოქსინო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	10	395,678	304,816
მარაგების შესყიდვა		(50,337)	(3,004)
დაკაპიტალიზებული გამოყენებული მარაგები		22,099	-
მარაგების ცვლილება		(1,075)	-
პერსონალის ხარჯები		(73,515)	(70,335)
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება		249,000	3,875,977
სხვა ხარჯები	11	(161,239)	(286,678)
საოპერაციო მოგება		380,611	3,820,776
წმინდა მოგება		380,611	3,820,776
სხვა სრული შემოსავალი		-	134,441
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		380,611	3,955,217

სს ოქსინო

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების ნამეტი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2016	20,800	6,633,787	546,950	7,201,537
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	3,955,217	3,955,217
31 დეკემბერი 2017	20,800	6,633,787	4,502,167	11,156,754
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	380,611	380,611
31 დეკემბერი 2018	20,800	6,633,787	4,882,778	11,537,365

სს ოქსინო

ფულადი სახსრების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	574,047	351,990
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(317,506)	(125,531)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(58,812)	(56,268)
გადახდილი გადასახადები	(66,500)	(94,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	131,229	76,191
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(262,632)	(15,326)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(33,898)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(296,530)	(15,326)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრების წმინდა (შემცირება)/ზრდა	(165,301)	60,865
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	177,932	117,067
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12,631	177,932

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ოქსინო“ (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 1995 წლის 14 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის სააქციო საზოგადოება (სს). კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა (ყოფილი ბაღდადის ქ.) N12.

საზოგადოებას შვილობილი საწარმოები ან/და ფილიალები არ გააჩნია.

სააქციო საზოგადოება „ოქსინოს“ სააქციო კაპიტალი განისაზღვრება 16,000 აშშ დოლარის ოდენობით (ეკვივალენტით 20.800 ლარი). გამოშვებული ფასიანი ქაღალდების (აქცია) რაოდენობაა 8,000 ცალი. 1 ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 2 აშშ დოლარი. განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა ასევე შეადგენს 8,000 ცალს. კომპანიის გამოშვებული და მთლიანად განთავსებული აქციები მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების კლასს - „ჩვეულებრივი“. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანად განაწილებულ კომპანიის 8,000 აქციაზე რეგისტრირებულია სულ 399 მფლობელი. საზოგადოება საკუთარი აქციების შეძენა-გამოსყიდვას და შესაბამისად გასხვისებასაც არ ახდენს არა მარტო საანგარიშო პერიოდში, არამედ საერთოდ პირველადი განთავსების შემდგომ. 1 ცალი ფასიანი ქაღალდის (აქცია) წილი საზოგადოების სააქციო კაპიტალში განისაზღვრება 0,0125%-ით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების (ფართების) საოპერაციო იჯარით გაცემა.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ზასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონებისა (ზასს 40) და ძირითადი საშუალებებისა, რომლისთვისაც კომპანია იყენებს რეალური ღირებულების მოდელს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და აქციონერებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე და რომელიც ასახავს მისი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არის შემდეგი:

- ფასს 9 ფინანსური ინტრუმენტები
- ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფასს 15-ის და ფასს 9-ის ეფექტს, სტანდარტის მოთხოვნებზე გადასვლის თარიღისთვის, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გადასვლის თარიღისთვის, შესაბამისად კომპანიას არ გაუკეთებია ნაშთების რაიმე სახის კორექტირება.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ისეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, არის შემდეგი:

ფასს 16 ოჯარა

ფასს 16 მოქმედების სფეროში შედის ყველა ოჯარის ხელშეკრულება, გარდა გამონაკლისებისა. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს ოჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს:

საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი ოჯარები (მაგ: ოჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). ოჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ოჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას ოჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის საადრიცხო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ ოჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტიდან.

კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული საადრიცხო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები**
ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. კომპანიის ხელმძღვანელობა სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხხგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. საადრიცხო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება: კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ 7-ე შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.1 ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	77,848	57,244
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,631	177,932
სულ ფინანსური აქტივები	90,479	235,176
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,104	10,480
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,104	10,480

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

4.2 ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის შემუშავებაზე. ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას ამ საკითხებზე, ხელმძღვანელობამ მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება იმ პროცესების შემუშავებასა და წარმართვაზე, რომელიც კომპანიის ფინანსური ფუნქციის მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს.

ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა, რომელიც შეამცირებს რისკს მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე. დამატებითი დეტალები პოლიტიკასთან დაკავშირებით მითითებულია ქვემოთ.

4.3 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ძირითადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ფული და ფულადი ეკვივალენტებთან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	77,848	57,244
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,884	146,677
სულ ფინანსური აქტივები	85,732	203,921

4.4 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მოსალოდნელი დაფარვის ვადა არის საანგარიშო პერიოდიდან 1 წელი.

4.5 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტები უცხოურ ვალუტაში.

4.6 ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი, რათა შეძლოს მომავალში აქციონერებზე დივიდენდების გაცემა და შესთავაზოს აქციონერებს ადეკვატური დივიდენდი სერვისების ღირებულების განსაზღვრით რისკის კანონზომიერი შეფარდებით.

კომპანია ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად; მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას მასში შემავალი აქტივების რისკის მახასიათებლებების და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალური სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან დასაკორექტირებლად, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

სს ოქსინო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. წინა პერიოდების შეცდომები და რეკლასიფიკაციები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანხა ცვლილებამდე	კორექტირე ბა	რეკლასიფ იკაცია	თანხა ცვლილებ ის შემდეგ	კომენტარი
საინვესტიციო ქონება	9,443,453	1,202,500		10,645,953	განისაზღვრა და დაკორექტირდა საინვესტიციო ქონების (მიწის) რეალური ღირებულება 31.12.2017- ისთვის. საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგის ასახვა მოხდა შემდეგ მუხლზე: "საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება", ნაცვლად სხვა სრული შემოსავლისა, როგორც ეს წარდგენილი იყო 2017 წლის 31 ფინანსურ ანგარიშგებაში.
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება	-	1,202,500	2,673,477	3,875,977	
სხვა სრული შემოსავალი	2,807,918	-	(2,673,477)	134,441	

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,550,000	2,596,069	301,813	14,148	7,540	7,469,570
შემოსვლა	-	-	13,873	-	1,453	15,326
გასვლა	(4,550,000)	(2,596,069)	(12,712)	-	(1,453)	(7,160,234)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	302,974	14,148	7,540	324,662
შემოსვლა	250,000	-	27,558	-	7,173	284,731
გასვლა	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	250,000	-	330,532	14,148	14,713	609,393
დაგროვილი ცვეთა						
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(259,607)	(45,843)	(5,583)	(2,596)	(313,629)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(129,803)	(23,769)	(2,802)	(1,474)	(157,848)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	389,410	847	-	-	390,257
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(68,765)	(8,385)	(4,070)	(81,220)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	-	(14,030)	(1,151)	(1,519)	(16,701)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(82,795)	(9,536)	(5,589)	(97,921)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31.12.2017	-	-	234,209	5,763	3,470	243,442
31.12.2018	250,000	-	247,737	4,612	9,124	511,472

სს ოქსინო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

7. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	ნაგებობა	სხვა	სულ
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-	-
შემოსვლა	4,550,000	2,206,659	11,865	1,453	6,769,977
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება	3,118,000	757,129	847	-	3,875,976
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,668,000	2,963,788	12,712	1,453	10,645,953
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება	249,000	-	-	-	249,000
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,917,000	2,963,788	12,712	1,453	10,894,953

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის შეფასებულია სამართლიანი ღირებულებების მე-2 დონის მიხედვით. რეალური ღირებულება განისაზღვრა საბაზრო მიდგომის გამოყენებით, კერძო, გაყიდვების პირდაპირი შედარების მეთოდით, რომელიც გულისხმობს საბაზრო ფასების ანალიზს მსგავს აქტივებზე.

საინვესტიციო ქონება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ქალაქ თბილისში, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა 12-ში მდებარე მიწას და შენობას.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო მოთხოვნები	77,848	57,244
საგადასახადო მოთხოვნები	6,071	24,559
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებთან	-	1,475
	83,919	83,278

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	7,884	146,677
ფული სალაროში	4,747	31,255
	12,631	177,932

10. ამონაგები

ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შემოსავალი საიჯარო ქირიდან	331,740	289,158
შემოსავალი სატრანსფორმატორო ქვესადგურის დადგმისთვის	33,898	-
თანხმობის ერთჯერადი საფასურიდან	29,334	-
შემოსავალი კომუნალური მომსახურებიდან	706	15,658
სხვა შემოსავალი	395,678	304,816

11. სხვა ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
კომუნალური ხარჯი	(73,617)	(67,247)
საგადასახადო ხარჯი	(27,494)	(29,747)
ცვეთა და ამორტიზაცია	(20,660)	(157,970)
პროფესიული მომსახურება	(17,578)	(29,747)
უიმედო მოთხოვნების ჩამოწერის ხარჯი	(14,479)	(1,761)
სხვა ხარჯი	(7,411)	(206)
	(161,239)	(286,678)

12. პირობითი ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები - 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია აუღიარებელი მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

სს ოქსინო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		31.12.2018	31.12.2018
	ურთიერთობა	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა
ამონაგები		15,527	395,678
შპს ტრანსკომი	სხვა	10,026	
ნანობაშვილი ციხანი	აქციონერი	3,209	
შპს ქინძმარაული მარანი თრედიინგ	სხვა	2,293	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		3,443	83,919
შპს ტრანსკომი	სხვა	-	
ნანობაშვილი ციხანი	აქციონერი	3,305	
შპს ქინძმარაული მარანი თრედიინგ	სხვა	138	
		31.12.2017	31.12.2017
	ურთიერთობა	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა
ამონაგები		10,837	304,816
შპს ტრანსკომი	სხვა	8,919	
შპს ქინძმარაული მარანი თრედიინგ	სხვა	1,918	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		446	83,278
შპს ტრანსკომი	სხვა	123	
შპს ქინძმარაული მარანი თრედიინგ	სხვა	323	

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:	30,900	31,010
შრომის ანაზღაურება	30,900	31,010

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

15.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვალდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

15.2 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის ფართის გაქირავება აღიარდება დროთა განმავლობაში, იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ღირებულების შესაბამისად.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორც წესი, არაარსებითია, შესაბამისად, კომპანია საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრისას არ ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ მომსახურებაზე ანაწილებს.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

15.3 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

15.4 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

15.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის იყენებს გადაფასების მოდელს. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. როდესაც ძირითადი საშუალებების გადაფასება ტარდება, აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება გადაფასებულ ღირებულებამდე. აქტივის პირვანდელი ღირებულება კორექტირდება იმგვარად, რომ შესაბამისობაში იყოს აქტივის საბალანსო ღირებულების გადაფასებასთან.

როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახელწოდებით. ამასთან, გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

თუ აქტივის გადაფასების შედეგად მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს შემცირება

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგებაში ან ზარალში აღიარდება. ამასთან, შემცირების თანხა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა	20
ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

15.6 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორიცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. კომპანია საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, შემდეგ კი მის შეფასებას საბაზრო ფასების ცვლილების შესაბამისად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გადაფასების ეფექტი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონების საბაზრო ფასი განისაზღვრება შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი შემფასებლების ს ან ხელმძღვანელობის მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი აქტივების და მსგავს ლოკაციებზე შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალში „ამონაგები“ კლასიფიკაციის ქვეშ. საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში ცალკე კატეგორიად.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

15.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

15.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

15.9 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის კომპანიის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლა. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რის შედეგად კომპანიას არა აქვს, ამ ვალდებულების დაფარვის გარდა,

რეალური ალტერნატივა. იურიდიული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება ა) კონტრაქტის (კონტრაქტში მოცემული ან ნაგულისხმევი პირობების); ბ) კანონმდებლობის; ან გ) კანონის სხვა მოქმედების შედეგად. კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის საქმიანობის შედეგად, როდესაც: ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით კომპანიამ სხვა მონაწილე მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში აღიარებს გარკვეულ ვალდებულებას; და ბ) შედეგად კომპანიამ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

15.10 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად – „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას.

შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია

რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

15.11 სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალში განხორციელებული შენატანები აღირიცხება თვითღირებულებით. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანების შემთხვევისა, აღიარდება წმინდა ღირებულებით, შესაბამისი მოგების გადასახადის გამოკლებით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი გადახდები წარმოადგენს დამატებით შენატანს კაპიტალში.

15.12 დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

15.13 ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

15.14 იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

სს ოქსინო

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

სარჩევი

1.	საქმიანობის მიმოხილვა	25
2.	საოპერაციო გარემო და რისკები	30
3.	კორპორაციული მართვის ანგარიშგება	32

1. საქმიანობის მიმოხილვა

სს „ოქსინო“ წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია 1995 წლის 14 დეკემბერს და ფუნქციონირებს საქართველოში.

საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქუჩა რიჩარდ ჰოლბრუკის (ბაღდადის ქ.)#12.

საზოგადოებას შვილობილი საწარმოები ან/და ფილიალები არ გააჩნია.

საზოგადოების საიდენტიფიკაციო ნომერია 206028993.

საზოგადოების აქციონერები არიან ფიზიკური პირები.

სააქციო საზოგადოება „ოქსინოს“ საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება 16,000 აშშ დოლარის ოდენობით (20,800 ლარი). გამოშვებული ფასიანი ქაღალდების (აქცია) რაოდენობაა 8,000 ცალი. 1 ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 2 აშშ დოლარი. განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა ასევე შეადგენს 8,000 ცალს.

საზოგადოების გამოშვებული და მთლიანად განთავსებული აქციები მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების კლასს - „ჩვეულებრივი“.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანად განაწილებულ საზოგადოების 8,000 აქციაზე რეგისტრირებულია სულ 399 მფლობელი.

საზოგადოება საკუთარი აქციების შეძენა-გამოსყიდვას და შესაბამისად გასხვისებასაც არ ახდენს არა მარტო საანგარიშო პერიოდში, არამედ საერთოდ პირველადი განთავსების შემდგომ.

1 ცალი ფასიანი ქაღალდის (აქცია) წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში განისაზღვრება 0,0125%-ით.

საზოგადოების ჩამოყალიბებისას სს „ოქსინოს“ საქმიანობის საგანი მისი წესდების თანახმად განისაზღვრებოდა შემდეგი მიმართულებებით: სხვადასხვა სახის ტრიკოტაჟის ქსოვილების ქსოვა; მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტრიკოტაჟის ნაწარმის დამზადება, თეთრეულის შეკერვა; ყველა სახის კომერციული საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონებს.

საზოგადოებას პროფილით არ უმუშავია 1995 წლის მარტის თვიდან და არ უწარმოებია პროდუქცია. 2001 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია მზა პროდუქციის ნაშთებიც, დღეისათვის ახორციელებს მხოლოდ მომსახურებას - არასაცხოვრებელი ფართების იჯარით გაცემას.

უკანასკნელ წლებში საზოგადოების ძირითადი ოპერაციები უკავშირდება მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების (ფართების) საოპერაციო იჯარით გაცემას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების ძირითად ე.წ. „საწარმოო“ აქტივს წარმოადგენს მისი კუთვნილი უძრავი ქონება - 8,400.00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული #1-15 შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 14,225.37 კვ.მ (მიწის, უძრავი ქონების, საკადასტრო კოდი # 01.17.12.026.002), მდებარე ქ. თბილისი, ქუჩა რიჩარდ ჰოლბრუკის (ყოფილი ბაღდადის), #12-ში - იხ., საზოგადოების ძირითადი „საწარმოო“ აქტივის ვიზუალიზაცია:


სს ოქსინო

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

1. საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ადგილმდებარეობა ქ. თბილისის ფარგლებში:



საზოგადოების კუთვნილი შენობა-ნაგებობები წარმოადგენენ სპეციფიკური დანიშნულების ნაგებობებს და თავდაპირველი დანიშნულებით, როგორც მუზეუმი მრეწველობის დანიშნულების ობიექტი (ტრიკოტაჟის ფაბრიკა), ფუნქციონირებდა 1992 წლამდე. 1990-იან წლებში ადგილი ჰქონდა საწარმოო სიმძლავრეების მცირე დატვირთვით ფუნქციონირების მცდელობებს. შესაბამისად, დიდი ხნის მანძილზე ფუნქციონირებადი შენობები დღეისათვის გამოიყენება სხვადასხვა (არათავდაპირველი) დანიშნულებით ან/და მათი ნაწილები/(ფართები) საერთოდ დღემდე არ არიან გამოყენებაში.

1. საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიწის ნაკვეთის (8,400.00 კვ.მ.) დაახლოებით 40%-ზე არ ფიქსირდება შენობა-ნაგებობები. თავისუფალი მიწის ნაწილი გამოყენებულია ასევე იჯარით გაცემისათვის. დარჩენილი დიდი ნაწილი გამოიყენება გაიჯარებულ ფართებთან მიღწევადობის უზრუნველსაყოფად და ასევე უფასო ავტოპარკინგისათვის. პირველი 3 შენობა-ნაგებობა (შენობა #14/3 – „სამკერვალო კორპუსი“ და დამხმარე შენობა-ნაგებობები #8/1 და #9/1) აშენებულია 1956 წელს, ბოლო შენობა-ნაგებობა #4/1 - დამხმარე/„ბოქსები“ კი 2002 წელს.

შესაბამისად, საზოგადოების შენობა-ნაგებობების ფიზიკური/(ტექნიკური) მდგომარეობა (განსაკუთრებით დიდი ფართის საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა), როგორც წესი, საჭიროებს რემონტს, მათ შორის კაპიტალურ რემონტს, ან/და ზოგიერთ შემთხვევაში რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციას და დემონტაჟსაც კი.

დამატებით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განსხვავებით თანამედროვე სავაჭრო ცენტრებში არსებული კომერციული ფართებისაგან საზოგადოების უძრავი ქონების სპეციფიკური ხასიათის (ყოფილი ტრიკოტაჟის ფაბრიკა) და სხვა თანმდევი საინჟინრო-ტექნიკური თავისებურებებისა და შეზღუდვების გამო (შენობა-ნაგებობების არასათანადო ტექნიკური მდგომარეობა, საჭირო სარემონტო სამუშაოების ჩატარებლობა და მიზანშეუწონებლობა და ა.შ.) არაეფექტურს და დაბალ შემოსავლიანს ხდის (ხდიდა) საწარმოს უძრავი ქონების (გასაქირავებელი ფართების) იჯარ(ებ)ით გაცემის საქმიანობასა და მისგან გამომდინარე ფინანსურ შედეგებს, მათ შორის პერსპექტიულ/პოტენციური თვალსაზრისითაც.

საანგარიშო პერიოდში მოქმედი საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე საზოგადოების უძრავი ქონებიდან - 8,400.00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული ##1-15 შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 14,225.37 კვ.მ - იჯარით გაცემულია საშუალოდ 8,500.00-9,000.00 კვ.მ. უძრავი ქონება, მათ შორის 500.0-550.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და დანარჩენი შენობა-ნაგებობის ფართი. უძრავი ქონების სპეციფიკური საინჟინრო-ტექნიკური გადაწყვეტიდან გამომდინარე შეიძლება დამატებით გაქირავდეს კიდევ დაახლოებით 1,500.0-2,500.0 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ფართი. თუმცა, ამისათვის საჭირო გახდება გარკვეული სარეკონსტრუქციო ან/და სარემონტო/მოპირკეთებითი სამუშაოების ჩატარება. საიჯარო ფართის კიდევ უფრო მეტად გაზრდა მკირად ღირებული რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის შემთხვევაშიც კი თითქმის შეუძლებლად განიხილება (მხედველობაშია მისაღები ის საერთო დანიშნულების ფართები, მაგ., კიბის უჯრედები, კორიდორები და ა.შ., რომლებიც საერთო გამოყენებისაა და შესაბამისად არ ექვემდებარება გაქირავებას).

წარმოდგენილი მაჩვენებლების ანალიზით დადგინდა, რომ საზოგადოების ქონების შემოსავლიანობა შეზღუდულია ორი ძირითადი მიმართულებით: პირველი, იჯარით გაცემული ფართის არც თუ საუკეთესო ხვედრითი წილით შენობა-ნაგებობების საერთო ფართთან მიმართებით და, მეორე, საიჯარო ქირის ასევე დაბალი განაკვეთებით.

საზოგადოების ხელმძღვანელობამ (სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი) გააცნობიერა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება პროფილით არ მუშაობს; შემოსავლებზე არსებით გავლენას ახდენს სპეციფიკურ (როგორც საინჟინრო-ტექნოლოგიური, ისე ტექნიკური მდგომარეობის კუთხით) საიჯარო ფართებზე ნაკლები მოთხოვნა და შესაბამისად დაბალი ფასები, და ამასთან ერთად, ბოლო წლებში საზოგადოების მიღებული შემოსავლები სტაბილურად და არსებითად იზრდება (2018 წელს საოპერაციო

საქმიანობით მიღებული შემოსავლები 2017 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან მიმართებით გაზრდილია 30%-ით), მაინც საჭირო იყო ახალი ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღება, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს საზოგადოების შემოსავალი და რაც მთავარია საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული იქნას მოგება.

1. საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

საზოგადოების ქონების (აქტივების) ზემოთ აღწერილი სპეციფიკური ხასიათისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ასევე გლობალურ ეკონომიკაში განვითარებული მოვლენების საფუძველზე საზოგადოების ხელმძღვანელობამ (სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი) არსებული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიიღო არსებითი გადაწყვეტილებები:

1. უახლოესი მომავალი რამოდენიმე წლისათვის საზოგადოება არსებულ საწარმოო სიმძლავრეებს არ გამოიყენებს (არ განიხილავს) პროდუქციის/(ტრიკოტაჟის ნაწარმის) საწარმოებლად ან/და წარმოების პროცესების მოსამზადებლად;
2. საზოგადოების კუთვნილ აქტივებს (ძირითადად უძრავი ქონება) მთლიანად გამოიყენებს საოპერაციო იჯარის დანიშნულებით გასაცემად;
3. ტექნიკური და ფიზიკური შესაძლებლობის ფარგლებში (თავისუფალი გასაიჯარავებელი ფართები და საჭირო ელექტროენერგიით უზრუნველყოფა) აქცენტი გაკეთდება ე.წ. კომერციული ფართების შექმნაზე და აღნიშნული ფართების იჯარით გაცემაზე, რომელიც უზრუნველყოფს არსებითად გაზრდილი შემოსავლების მიღებას;
4. საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო წლიდან შეიცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა საზოგადოების მიერ უძრავი ქონების აღრიცხვის კუთხითაც და ზემო აღნიშნული შენობა-ნაგებობები და მიწა ნაცვლად ძირითადი საშუალებებისა აღირიცხება „საინვესტიციო ქონებად“;
5. საზოგადოების საქმიანობასა და შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკაში შეტანილი ზემო აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე საანგარიშოს მომდევნო 2019 წელი დაიგეგმა არა მარტო საოპერაციო შემოსავლების მატებით 15-20%-ის ოდენობით, არამედ საზოგადოების ბოლო ათწლეულების ზარალიანი ფუნქციონირების შემდეგ პირველად საზოგადოების საოპერაციო საქმიანობიდან მისაღები მოგებით არა ნაკლებ 50,000 ლარისა.

საზოგადოების ხელმძღვანელობის (სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი) მიღებულ ამ გადაწყვეტილებებსა და შესაბამის საპროგნოზო მაჩვენებლებს დამატებით ამყარებს საზოგადოების საოპერაციო შემოსავლების მუდმივი, სტაბილური და ამასთანავე არსებითი ზრდა ბოლო წლების განმავლობაში:

	2018	2017
ამონაგები	395,678	304,816
მარაგების შესყიდვა	(50,337)	(3,004)
დაკაპიტალიზებული გამოყენებული მარაგები	22,099	-
მარაგების ცვლილება	(1,075)	-
პერსონალის ხარჯები	(73,515)	(70,335)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	-
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	249,000	3,875,977
სხვა ხარჯები	(161,239)	(286,678)
საოპერაციო მოგება	380,611	3,820,776
წმინდა მოგება	380,611	3,820,776
სხვა სრული შემოსავალი	-	134,441
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	380,611	3,955,217

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

საანგარიშგებო პერიოდში სუბიექტის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა.

2. საოპერაციო გარემო და რისკები

საქართველო განთავსებულია რთულ რეგიონში, სადაც ბოლო წლებში ერთმანეთს დაპირისპირებულია მსოფლიოს უდიდეს ქვეყანათა გეოპოლიტიკური ინტერესები. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების მიუხედავად მისი ვალუტა არ არის ბოლომდე თავისუფლად კონვერტირებადი. საქართველოს საგადასახადო, საბაჟო და სააღრიცხვო კანონმდებლობა ასევე ექვემდებარება სხვა და სხვა ინტერპრეტაციას და განიცდის ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართულება საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად ძლიერ არის დამოკიდებული ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ღონისძიებათა ეფექტურობაზე.

შესაბამისად, საზოგადოება და მის მიერ განხორციელებული საქმიანობა ზოგადად ექვემდებარება ფინანსურ რისკებს, მათ შორის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის მთავარი მიზანია დააწესოს რისკის საზღვრები და შემდეგ უზრუნველყოს, რომ რისკის გავლენა მოექცეს ამ საზღვრებში. ოპერაციული და საკანონმდებლო რისკების მართვა გამიზნულია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირება ოპერაციული და საკანონმდებლო რისკის მინიმუმადე შესამცირებლად.

შესაბამისად, ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

საზოგადოების საქმიანობისა და მისი აქტივების ზემოთ აღწერილი სპეციფიკურობებიდან გამომდინარე, საანგარიშო და მის წინა პერიოდებში საწარმო ან არ ექვემდებარება, ან/და ბოლომდე აკონტროლებს ფინანსური რისკების უშუალო ზეგავლენას.

საკრედიტო რისკი

საანგარიშო პერიოდში საწარმო მართალია არ გასცემს კრედიტებს ან/და სესხებს, თუმცა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში წარმოიშვება იჯარის მომსახურების მიმწოდებლებზე დებიტორული დავალიანებები (მოთხოვნები) და შესაბამისად გააჩნია კრედიტთან დაკავშირებული გარკვეული რისკი. ეს არის რისკი, რომ შესაძლოა პარტნიორმა მხარემ (მოიჯარე) ვერ გადაიხადოს მიღებული მომსახურების ღირებულების თანხები სრულად, როცა მათი გადახდის დრო მოვა. შესაბამისად, საზოგადოება განსაზღვრავს კრედიტის რისკის დონეების ლიმიტებს რისკთან დაკავშირებულ თანხაზე, რომელიც მიღებულია ერთ მოიჯარეზე ან მოიჯარე პირებზე. ასეთ რისკებთან დაკავშირებული მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება და ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას.

2. საოპერაციო გარემო და რისკები (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

უახლოეს გასულ და მიმდინარე პერიოდში საწარმოს არ გააჩნია ბაზართან დაკავშირებული არსებითი რისკები ორი ძირითადი გარემოების გამო:

1. როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, საზოგადოება ახორციელებს მხოლოდ მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების (ფართების) საოპერაციო იჯარით გაცემას საშუალო საბაზრო განაკვეთებზე დაბალი ფასებით (რეალურად იძულებით) და, ამასთან ერთად, აღარ ეწევა და არც აპირებს პროდუქციის წარმოებას, რომელიც დარგში არსებული დიდი კონკურენციის გამო ხასიათდება საბაზრო რისკ(ებ)ის მაღალი დონით;
2. შექმნილ ვითარებაში საწარმოს აღარ წარმოექმნება საბაზრო რისკები არც ღია პოზიციით მოზიდული სახსრების (მაგ., სესხების) საპროცენტო განაკვეთების, არც სავალუტო (სხვადასხვა ვალუტებში შემენებისა და მიწოდებიდან), არც გეოგრაფიული სეგმენტებისა და არც წილობრივი პროდუქტების/(მომსახურების) სახეების მიხედვით.

სავალუტო რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საზოგადოებას არ გააჩნია რისკი, რომელიც გამოწვეულია საწარმოს ფინანსურ პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით, რამდენადაც: საწარმოს ხარჯები გაიწევა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში; შემოსავლების ძირითადი ნაწილი მიიღება ასევე ლარებში; ზოგიერთ შემთხვევაში, გაცემული იჯარების საკონტრაქტო ფასი დგინდება უცხოურ ვალუტაში, რომელიც არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე მხოლოდ დადებითად მოქმედებს სავალუტო რისკის „გაუვნებელყოფებაზე“ და, რაც მთავარია, საწარმოს არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული არც ერთი ვალდებულება.

ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ საწარმომ შესაძლოა განიცადოს სირთულეები სახსრების მოპოვებაში მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისას, ასევე, ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის აღინიშნება რაიმე სხვაობა.

საწარმო ინარჩუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები იქნება ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში, რათა მოხდეს შესაბამისი ვალდებულებების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, როდესაც დგება გადახდის მომენტი.

საზოგადოების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებით (ფულადი სახსრების და ეკვივალენტების ნაშთის სტაბილური ზრდა და მიმდინარე ვალდებულებების არაარსებითი ნაშთები) ნათლად ჩანს, რომ საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები ფაქტიურად არ გააჩნია.

3. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას მიღებული არ აქვს საკუთარი კორპორაციული მართვის კოდექსი, თუმცა უახლოეს მომავალში განზრახული აქვს მისი შემუშავება და დამტკიცება არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით. საზოგადოებაში ასევე არ არსებობს ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის გამართული სისტემა, თუმცა კომპანიაში მიმდინარეობს პროცედურები აღნიშნული დებულების (დოკუმენტის) შესაქმნელად. მიუხედავად აღნიშნულისა, წინამდებარე მმართველობის ანგარიშგებაში გადმოცემულია ის პრინციპები და დებულებები, რომელთა საფუძველზეც საზოგადოების ხელმძღვანელობა პრაქტიკულად ახორციელებს მისთვის დაკისრებულ მმართველობით ფუნქციებს.

კორპორაციული მართვის პრინციპები. სს „ოქსინოს“ კორპორაციული პოლიტიკა ხორციელდება საზოგადოების წესდების, შიდა დოკუმენტების, აგრეთვე სამართალ ურთიერთობათა რეგულირების სფეროში საქართველოს ფუძემდებლური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების - კანონების „მეწარმეთა შესახებ“, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და საქართველოს სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

საზოგადოების აქციონერთა და ინვესტორთა უფლებების უზრუნველყოფა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორი უზრუნველყოფენ საზოგადოების აქციონერთა და ინვესტორთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

აქციონერის ძირითადი უფლებები - დივიდენდების მიღება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობა - დადგენილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საზოგადოების წესდებით.

საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მართვაში, უპირველეს ყოვლისა, აქციონერთა საერთო კრებაზე, მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების საშუალებით.

აქციონერებს უფლება აქვთ თავისუფლად განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს აქციებზე საკუთრების უფლებათა აღრიცხვის საიმედოობას, აგრეთვე აქციონერთა კუთვნილი აქციების თავისუფალი და სწრაფი გასხვისების შესაძლებლობას. საზოგადოების აქციებზე აქციონერთა საკუთრების უფლების დაცვა ნებისმიერი დარღვევისაგან უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ აქციონერთა რეესტრის წარმოებისა და შენახვის გზით.

საერთო კრებაზე საზოგადოებას შეუძლია განაცხადოს აქციონერთათვის დივიდენდების გადახდის შესახებ, გასანაწილებელ მოგებაზე მათი უფლებებისა და პრივილეგიების გათვალისწინებით. საზოგადოებას არა აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდის შესახებ მოგების არ არსებობის შემთხვევაში, დაუშვებელია აგრეთვე დივიდენდების გაცემა ისეთი რაოდენობით, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ რაოდენობას.

გამჭვირვალება და ინფორმაციული გახსნა. საზოგადოების აქციონერებს აქვთ საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციასთან თავისუფალი წვდომა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საინფორმაციო პოლიტიკა აქციონერების მიმართ ხორციელდება მისაწოდებელი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობისა და უტყუარობის გათვალისწინებით.

ბიზნესის მართვის კონტროლი და ხარისხის შეფასება. საზოგადოების სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ფასს-ის თანახმად ფინანსური ანგარიშგების სისწორის კონტროლს აწარმოებს საზოგადოების დამოუკიდებელი აუდიტორი.

3. კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

საქართველოს საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებისა და სს „ოქსინო“-ს წესდების შესაბამისად,

საზოგადოების მართვისა და კონტროლის ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება
- სამეთვალყურეო საბჭო
- დირექტორ(ებ)ი

აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს მართვის უმაღლეს ორგანოს. აქციონერთა საერთო კრება აქციონერებს საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლების რეალიზების საშუალებას აძლევს, საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით, აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციის თანახმად. სამეთვალყურეო საბჭო, აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან აქციონერთა საერთო კრების წინაშე. აქციონერთა საერთო კრების კომპეტენცია, ვადები, მომზადებისა და ჩატარების წესი, და ჩატარების ფორმა განსაზღვრულია საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“ და წესდებაში.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო. საზოგადოების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს საზოგადოების საქმიანობის არსებით საკითხებთან დაკავშირებით, წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის წესის რეგულირება ხორციელდება წესდებით. სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს კოლეგიალურ ორგანოს, რომელიც შედგება 3 წევრისაგან.

დირექტორი. დირექტორი ახორციელებს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას. იგი არის საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო. დირექტორი ახორციელებს საზოგადოების ხელმძღვანელობას, ყოველდღიურ მართვას და წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს.

სააქციო საზოგადოება „ოქსინო“-ს გამოშვებული ფასიანი ქაღალდების (აქცია) რაოდენობაა 8,000 ცალი. განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა ასევე შეადგენს 8,000 ცალს. 2018 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით მთლიანად განაწილებულ საზოგადოების 8,000 აქციაზე რეგისტრირებულია სულ 399 მფლობელი.

აქციონერები, რომლებიც საერთო კრებაზე ხმათა 5%-ს ან მეტს ფლობენ, ან აკონტროლებენ 31.12.2017წ.-ს მდგომარეობით:

N	ფასიანი ქაღალდის კლასი	ბენეფიციარი მესაკუთრე	საკუთრებაში არსებული აქცია და მესაკუთრეობის სახე	საკუთრებაში არსებული ქაღალდების კლასის პროცენტულობა
1.	ჩვეულებრივი	ცინცაძე ნინო პ/ნ 01026000171	1704 პირდაპირი	21,3000%
2.	ჩვეულებრივი	ცინცაძე მერაბი პ/ნ 01008000131	1000 პირდაპირი	12,5000%
3	ჩვეულებრივი	ივანიშვილი ალექო პ/ნ 01012000982	1072 პირდაპირი	13,4000%
4	ჩვეულებრივი	კაციტაძე ლევანი პ/ნ 01008009645	1545 პირდაპირი	19,3125%
5.	ჩვეულებრივი	სულაძე ლაშა პ/ნ 01008006106	519 პირდაპირი	6,4875%
6.	ჩვეულებრივი	ხვედელიძე ნათელა, პ/ნ 01008003704	450 პირდაპირი	5,6250%
	ჯამი		6290 პირდაპირი	78,6250%

სს ოქსინო

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

3. კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

1. ნინო ცინცაძე_ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
2. იზიდა არაბიძე_ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი,
3. ლევან კაციტაძე_სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საზოგადოების დირექტორი

სულაძე ლაშა - უფლებამოსილება ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე

ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ფასიანი ქაღალდების
მესაკუთრეობის შესახებ 31.12.2018-ის მდგომარეობით:

ფასიანი ქაღალდის კლასი	ბენეფიციარი მესაკუთრე	საკუთრებაში არსებული აქცია და მესაკუთრეობის სახე	საკუთრებაში არსებული ქაღალდების კლასის პროცენტულობა
ჩვეულებრივი	სულაძე ლაშა პ/ნ 01008006106 <i>დირექტორი</i>	519 პირდაპირი	6,4875%
ჩვეულებრივი	ცინცაძე ნინო პ/ნ 01026000171 <i>სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე</i>	1704 პირდაპირი	21,3000%
ჩვეულებრივი	კაციტაძე ლევან პ/ნ 01008009645 <i>სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე</i>	1545 პირდაპირი	19,3125%
ჩვეულებრივი	იზიდა არაბიძე <i>სამეთვალყურეო საბჭოს წევრი</i>	0	0.0000%
სულ აღმასრულებელი ჯგუფის საკუთრებაში არსებული რაოდენობა		3768 პირდაპირი	47,1000%

საწარმოს ხელმძღვანელთა ანაზღაურება - 2018 წელი

სახელი გვარი	თანამდებობა	ხელფასი	ბონუსი	ოფციონები	გადავადების კომპენსაცია	პრივილეგიები და სხვა	სულ ანაზღაურება
ცინცაძე ნინო	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	9000					9000
კაციტაძე ლევან	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	7800					7800
არაბიძე იზიდა	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	6000					6000
სულაძე ლაშა	დირექტორი	8100					8100

სხვა სახის ანაზღაურება ან დივიდენდი არ გაცემულა.

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევა

საზოგადოების აქციები სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მოთხოვნის საგანს არ წარმოადგენს.

სს ოქსინო

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკა

მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკა დღეის მდგომარეობით არ არსებობს რაიმე სახის რეგულაცია, რომელიც კომპანიას ავალდებულებს წევრების მიმართ გაატაროს დივერსიფიკაციის პოლიტიკა, ასაკის, სქესის, კვალიფიკაციის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით; კომპანია წევრებს შეარჩევს სხვადასხვა კრიტერიუმით, რომელიც ემყარება კომპანიის უმაღლესი ორგანოს - აქციონერთა საერთო კრების შეფასებას კონკრეტულ პირზე, რომელიც დააკმაყოფილებს, პოზიციისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს; აღნიშნულის შესაბამისად, საზოგადოებაში არ მოქმედებს წინასწარ დადგენილი რაიმე სახის პოლიტიკა ან ერთიანი პრაქტიკა.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე _____ ნინო ცინცაძე

დირექტორი _____ ლაშა სულაძე

სს ოქსინო

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)


3. კორპორაციული მართვის ანგარიშგება (გაგრძელება)

მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკა

მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკა დღეის მდგომარეობით არ არსებობს რაიმე სახის რეგულაცია, რომელიც კომპანიას ავალდებულებს წევრების მიმართ გაატაროს დივერსიფიკაციის პოლიტიკა, ასაკის, სქესის, კვალიფიკაციის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით; კომპანია წევრებს შეარჩევს სხვადასხვა კრიტერიუმით, რომელიც ემყარება კომპანიის უმაღლესი ორგანოს - აქციონერთა საერთო კრების შეფასებას კონკრეტულ პირზე, რომელიც დააკმაყოფილებს, პოზიციისთვის განსაზღვრული ფუნქციამოვალეობების შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს; აღნიშნულის შესაბამისად, საზოგადოებაში არ მოქმედებს წინასწარ დადგენილი რაიმე სახის პოლიტიკა ან ერთიანი პრაქტიკა.


2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



ნინო ცინცაძე

დირექტორი



ლაშა სულაძე